ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციოლოგიის მიმართულება

მედეა ჭულუხაძე

ქალთა მიმართ ძალადობა

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

ამირან ბერძენიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2025 წელი

სარჩევი

ანოტაცია 2

შესავალი 3

კვლევის მიზნები და ამოცანები 4

კვლევის მეთოდები და მათი დახასიათება 4

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა 5

კვლევის შეზღუდვები 5

ლიტერატურის მიმოხილვა 6

თვისებრივი კვლევის ანალიზი 10

რაოდენობრივი კვლევის ანალიზი 12

დასკვნა 21

გამოყენებული ლიტერატურა 23

ანოტაცია

ქალთა მიმართ ძალადობა არის ფართოდ გავრცელებული სოციალური პრობლემა,რომელიც მოიცავს ქალთა უფლებების,უსაფრთხოების და კეთილდღეობის საკითხებს.ძალადობა გავლენას ახდენს,როგორც ქალის მენტალურ ჯანმრთელობაზე, ისე საზოგადოების იდენტობასა და სოციალურ სტრუქტურაზე.

ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები ხშირად გვხვდება ოჯახში,სამუშაო ადგილზე,სოციალურ სივრცეებში.ეს ყველაფერი კი ძირითადად გენდერული უთანასწორობით,კულტურული ნორმებითა და ძალაუფლების დისბალანსით არის გამოწვეული.ამგვარი ძალადობა გავლენას ახდენს ქალის განათლებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც გულისხმობს მატერიალურ კეთილდღეობას ,ასევე ხშირია ფსიქოლოგიური ტრავმებიც.

აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ ამ პრობლემის მოგვარება საჭირო და აუცილებელია,რათა აღიკვეთოს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები,როგორც საქართველოში ასევე მთელს მსოფლიოში.იმისათვის,რომ მოგვარდეს ძალადობის პრობლემა საჭიროა,როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების ჩართვა ამ საკითხის მოგვარების პროცესში.აუცილებელი წინაპირობაა ის,რომ ქალი იყოს დაცული ყველანაირი ძალადობისაგან,ამისათვის კი უნდა გატარდეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები,რომლებიც ორიენტირებული იქნება ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის აღმოფხვრაზე,ასევე აუცილებელია ძლიერი და მზარდი კანონმდებლობის შემუშავება,რომელიც აღკვეთს ძალადობის ფაქტებს და ბოლოს,აუცილებელია ისეთი ორგანიზაციების შექმნა,რომელთა მიზანიც იქნება ძალადობის მსხვერპლი ქალების დახმარება.

შესავალი

ძალადობა არის თემა, რომელიც გლობალური უბედურებაა მთელი მსოფლიოსთვის,ამას კი განაპირობებს ის ფაქტი,რომ მსოფლიოში ყოველი მესამე ადამიანი მთელი ცხოვრება იტანჯება იმის გამო,რომ არის ძალადობის მსხვერპლი.დისკრიმინაციული ხასიათის, სოციალური ნორმებისა და ტრადიციების გამო,ადამიანები ხშირად განიცდიან ძალადობას სხვადასხვა ფორმით,როგორიცაა: ფიზიკური, ფსიქოლოგიური,ეკონომიკური და სექსუალური ძალადობა.ხშირია ისეთი შემთხვევები,როდესაც სოციალური სტიგმატიზაციის გამო ძალადობის მსხვერპლებს აკისრებენ პასუხისმგებლობას და ადანაშაულებენ იმ ძალადობაში,რომელიც მათ მიმართ განხორციელდა. (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2021 წ)

საინტერესოა რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში?საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ,სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ,,საქსტატისა“ და ,,გაეროს ქალთა ორგანიზაციის” მიერ ჩატარებულმა ბოლოდროინდელმა კვლევამ გამოავლინა,რომ ქალების თითქმის მეოთხედს(22%)-ს და მამაკაცების მესამედს (31%)-ს მიაჩნია,რომ გარკვეულ გარემოებაში ცოლის ცემა გამართლებულია,გარდა ამისა ქალების დაახლოებით მეოთხედი(23%) და გამოკითხული მამაკაცების (42%) თვლის,რომ ცოლი ვალდებულია დაემორჩილოს ქმარს იმ შემთხვევაშიც კი,თუ მას არ ეთანხმება.აღსანიშნავია ის ფაქტიც,რომ ოჯახში ძალადობისა და სექსუალური შევიწროვების ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი აქვს საქართველოს, ევროპის ქვეყნებს შორის. სანამ იმაზე დავიწყებდეთ საუბარს,თუ როგორ უნდა მოგვარდეს ძალადობის პრობლემა,უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ძალადობასთან ბრძოლა ნიშნავს მის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლას.ძალადობა ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორობის,ძალაუფლების ,რესურსებისა და შესაძლებლობების არათანაბარი განაწილების შედეგია. (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2021 წ)

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის შესწავლა და იმის შეფასება თუ როგორ აისახება ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე ძალადობის ფაქტები.

1. განვსაზღვროთ რამდენად რთულია ქალებისთვის მოძალადის გვერდით ცხოვრება
2. გამოვავლინოთ ქალთა მიმართ ძალადობის ჩამოყალიბების მთავარი ფაქტორები
3. გამოვიკვლიოთ ძალადობის გავლენა ქალების შრომისუნარიანობასა და ჯანმრთელობაზე
4. განვსაზღვროთ ქალთა მიმართ ძალადობის შედეგები
5. გამოვიკვლიოთ ის საშუალებები,რომლებიც ძალადობასთან ბრძოლაში დაგვეხმარება

კვლევის მეთოდები და მათი დახასიათება

ვინაიდან და რადგანაც, ძალადობა უმეტეს შემთხვევაში სხვადასხვა ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული,მისი იდენტიფიცირება არც თუ ისე მარტივია და არაერთგვაროვან შეფასებებსა და ახსნებს უკავშირდება,სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია კვლევა განხორციელდეს შერეული მეთოდით,რაც გულისხმობს როგორც თვისებრივი,ისე რაოდენობრივი კვლევების ჩატარებას,რაც მოიცავს სიღრმისეულ ინტერვიუს და ონლაინ გამოკითხვას გუგლ ფორმის მეშვეობით.

ჩემი საკვლევი თემიდან გამომდინარე,რადგანაც აუცილებელი იყო ამომწურავი ინფორმაციის მიღება კონკრეტული საკითხის შესახებ ,სწორედ ამიტომ გადავწყვიტე შემერჩია კვლევის ეს მეთოდი. სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით შესაძლებელია კონკრეტულ თემაზე სიღრმისეული ინფორმაციის მიღება,სასურველ საკითხზე ჩაღრმავება და ამომწურავი ინფორმაციის გაგება.კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შევარჩიე თვისებრივი კვლევის მეთოდი, ექსპერტთა გამოკითხვა.თვისებრივი კვლევის ფარგლებში,შეირჩა ოთხი დარგის ექსპერტი,რომლებიც მათი პროფესიული საქმიანობით დაკავშირებულნი არიან აღნიშნულ საკვლევ თემასთან.რაც შეეხება

რაოდენობრივ კვლევას,მონაცემების შეგროვება მოხდა ონლაინ გამოკითხვის,კერძოდ გუგლ ფორმის გამოყენებით.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომი ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ყურადღების გამახვილებას,ამ პრობლემის სიღრმისეულ გაგებას და გააზრებას,იმ გზების ძიებას,რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვისაა აუცილებელი.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის შეზღუდვას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ჩატარდა მცირე მასშტაბის კვლევა,ვერ შევძელი მოსახლეობის დიდი რაოდენობა გამომეკითხა,რაც დამეხმარებოდა საკითხის სიღრმისეულ ანალიზში.ამას გარდა, გამოკითხული ექსპერტები აღნიშნავდნენ,რომ ქალთა მიმართ ძალადობა მწვავე პრობლემაა,თუმცა ამავდროულად სენსიტიური საკითხია და რთულია ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოკითხვა,თუმცა მათი გამოკითხვა რეალურ სურათს ცხადყოფდა და ჩემს კვლევას მრავლისმომცველს გახდიდა.იქიდან გამომდინარე,რომ ძალადობის მსხვერპლი ქალების უმრავლესობა ,,დუმილს არ არღვევს” მათთან რთული იყო კითხვების დასმა და გულახდილი პასუხების მიღება.

ლიტერატურის მიმოხილვა

სანამ უშუალოდ იმაზე საუბარს დავიწყებდეთ თუ რატომ არის მსოფლიოში ასე ძალიან გავრცელებული ძალადობის ფაქტები,მოდი ჯერ ვისაუბროთ იმაზე თუ რა არის თავად ამ ტერმინის მნიშვნელობა.

ძალადობა არის ყოველგვარი სიტყვა ან ქმედება,რომელსაც შეუძლია ადამიანს მოუტანოს ზიანი,შეურაცხჰყოს ან შეუზღუდოს კანონით მინიჭებული ყველა უფლება.ძალადობა უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება ადამიანის,ადამიანთა ჯგუფის ან საზოგადოების მიერ. (Civili ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2008).ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს,რომ ძალადობის მსხვერპლნი უმეტესად ქალები არინ,რადგან სუსტ და დაუცველ სქესს წარმოადგენენ.აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყოველგვარი ძალადობა დაუშვებელია და დასჯადია კანონის მიერ.სწორედ ამ გარემოებას მივყავართ მთავარ კითხვამდე, თუ ეს ყველაფერი დაუშვებელია და კანონით არის აკრძალული,რატომ არის ასე მრავლად გავრცელებული ქალთა მიმართ ძალადობის მაგალითები როგორც საქართველოში ასევე მთელ მსოფლიოში ?ამ კითხვაზე პასუხი ნათლად და მკაფიოდ არის გამოხატული ეროვნულ კვლევაში ,,ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში 2022“,სადაც აღწერილია თუ რა არის ქალთა მიმართ ძალადობის მოტივი,მიზეზები და შედეგები.კვლევაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე რომ ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემას ეპიდემიის მასშტაბები გააჩნია,რაც გულისხმობს ქალთა მიმართ ემოციური,სექსუალური,ფიზიკური ,ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმის გამოვლინებას,როგორც პირად ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.ევროპის საბჭოს კონვენცია(სტამბოლის კონვენცია)ქალთა მიმართ ძალადობას განმარტავს როგორც: ,,ადამიანის უფლებათა დარღვევას და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმას,რომელიც მოიცავს გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის ყველა აქტს,რასაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური,სექსუალური,ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში. (UN WOMEN, 2023)

ქალთა მიმართ ძალადობის უამრავი სახე და ფორმაა გავრცელებული დღევანდელ პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.შევეცდები მოკლედ მიმოვიხილო თითოეული მათგანი,რადგან უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს ის მიზეზები ,რის გამოც ქალთა მიმართ ძალადობა არის განხილვის საგანი.

ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რასაც ჩვენს გარშემო ყველაზე ხშირად ვაწყდებით არის ოჯახში ძალადობა ,რომელიც წარმოადგენს ქცევის ნებისმიერ ტიპს,რომელსაც მიმართავენ ინტიმურ პარტნიორზე ძალაუფლებისა და კონტროლის მოსაპოვებლად.ამგვარი ძალადობის სახეებია :1.ეკონომიკური ძალადობა-რომელიც გულისხმობს ფინანსურ რესურსებზე სრული კონტროლის შენარჩუნებას,ფულზე წვდომის შეზღუდვას,2.ფსიქოლოგიური ძალადობა,რომელიც მოიცავს დაშინებას,მუქარას და იზოლაციას,3.ემოციური ძალადობა,რომლის შემადგენელი ნაწილებია ადამიანის მუდმივი გაკრიტიკება,დაკნინება,დამცირება შეურაცხჰყოფა,ახლობელი ადამიანების ნახვის აკრძალვა,4.ფიზიკური ძალადობა რომლის სახეებია:პარტნიორისთვის ზიანის მიყენება ისეთი ქმედებებით როგორიცაა:ხელის დარტყმა,ფეხის კვრა, დაწვა, ჩქმეტა, კბენა,5.სექსუალური ძალადობა,რომელიც გულისხმობს-პარტნიორის იძულებას მონაწილეობა მიიღოს სქესობრივ აქტში მაშინ როდესაც თანახმა არ არის. (UN WOMEN, თ. გ.)

ქალთა ძალადობის ყველაზე სასტიკი ფორმა არის ფემიციდი:,, ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა,რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი კავშირშია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან ,დისკრიმინაციასთან,ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან,რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით,ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით,ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებებით,მისი ქცევის კონტროლით,ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით.ასევე ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2018).

ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული შეფასებები,რომლებიც მიუთითებს,რომ გლობალურად მთელს მსოფლიოში 3-დან 1(30%) ქალი,მაინც არის ინტიმური პარტნიორის ან არაპარტნიორის

მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.მსოფლიო მასშტაბით,15-49 წლის ქალების თითქმის მესამედი(27%),რომლებიც ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ,აღნიშნავენ რომ იყვნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი.აღსანიშნავია,რომ სექსუალური ძალადობა ქალების მიმართ იწვევს არასასურველ ორსულობას,აბორტებს,გინეკოლოგიურ პრობლემებს,სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს,ამას ადასტურებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაც,რომელიც აღნიშნავს რომ იმ ქალებს ,რომლებიც იყვნენ ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი 1,5 ჯერ უფრო ხშირად აღენიშნებოდათ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები ,ვიდრე იმ ქალებს რომლებსაც არასდროს განუცდიათ პარტნიორის მხრიდან ძალადობა. (World Health organization, 2024).

და მაინც რა არის ქალთა მიმართ ძალადობის მთავარი მიზეზი?ამ კითხვაზე არ მოიძებნება ერთი კონკრეტული პასუხი მაგრამ ჩემი აზრით,ქალსა და მამაკაცს შორის არსებული გენდერული უთანასწორობაა ამ ყველაფრის ხელშემწყობი ფაქტორი.ძველი დროიდან მოყოლებული ქალი აღიქმებოდა სუსტ და დაუცველ არსებად ,რომელიც ყოველთვის მამაკაცს უნდა დამორჩილებოდა.ქალებს არ გააჩნდათ სიტყვის თავისულება.მათი მთავარი ფუნქცია ,,მორჩილი ცოლისა“ და ,,მზრუნველი დედის” როლის მორგება იყო,სწორედ ამიტომ იყვნენ ჩაკეტილნი და იზოლირებულნი საზოგადოებისგან.ქალს არ შეეძლო თავისუფალი, წარმატებული და დამოუკიდებელი ყოფილიყო,რადგან ეს ყველაფერი ძალადობის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო.მამაკაცები თავს ოდითგანვე დომინანტად აღიქვამდნენ და ეს იყო ქალსა და მამაკაცს შორის კონფლიქტის მთავარი მიზეზი,კონფლიქტს კი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ახლდა თან,რომელიც უმეტესად მამაკაცის მხრიდან ხორციელდებოდა ქალზე.

სამწუხაროა ის ფაქტი,რომ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული უთანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა დღესაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება.ამ პრობლემის მთავარი მიზეზი კი არის ის,რომ ქალები სიმართლის სააშკარაოზე გამოტანას ,დუმილს ამჯობინებენ,ეს კი უფრო ართულებს მათ მდგომარეობას.ამ ყველაფრის ნათელი მაგალითია სტატია:,,Violence against women: Causes and consequences“,სადაც აღწერილია,რომ ქალები დუმილს არ არღვევდნენ:შიშის,შურისძიების,ძალადობის

გამო.სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმაზეც,თუ რა გავლენას ახდენს ქალთა მიმართ ძალადობა სახელმწიფოზე,პოლიტიკასა და ეკონომიკაზე.ჩვენ ვიცით,რომ ქალების მონაწილეობა უმეტეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სექტორში შეზღუდულია მათ მიმართ დისკრიმინაციის გამო.კვლევები აჩვენებს,რომ ქალების მონაწილეობა სახელმწიფოს სტაბილურობაზე და მის ეკონომიკურ წარმატებაზე პირდაპირ გავლენას ახდენს,მაგრამ იმის გამო ,რომ ქალები ხშირად არიან ძალადობის მსხვერპლნი ვერ ახერხებენ მონაწილეობა მიიღინ ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში. (medica mondiale, n.d.).

ახლა კი გადავიდეთ ამ თემის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე,კერძოდ,რა არის ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის მოგვარებისა და პრევენციის მთავარი გზა.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს,რომ ქალთა მიმართ ძალადობა უნდა განიხილებოდეს,როგორც სოციალური პრობლემა,რომლის პრევენციაც არის შესაძლებელი და აუცილებელი.ძალადობის პრევენციას ჰოლისტური მიდგომა სჭირდება,რომელიც საზოგადოების ყველა სფეროს მოიცავს,კერძოდ,ეკონომიკას, განათლებას, სამართლებრივ სტრუქტურებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს.

იმისათვის,რომ ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა აღმოიფხვრას,საჭიროა მთელი რიგი პრევენციული ღონისძიებების გატარება ამ კუთხით.სწორედ ამ თემას ეხმიანება სტატია:,,ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია:სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლი“,სადაც აღწერილია,თუ რა ზომები მიიღეს ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის.მათ მიერ გატარებული რეფორმები ძირითადად მოიცავს ცნობიერების ამაღლებას,განათლებას,ტრენინგებს , სათემო ინტერვენციების პროგრამებს,სხვადასხვა კამპანიებს,რომლებიც ძირითადად მიმართულია სექსუალური და ოჯახური ძალადობის აღმოფხვრისკენ.სტამბოლის კონვენციის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

1.ცოდნის გაღრმავება ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ,რაც გულისხმობს სკოლებში, საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვასა და განხორციელებას.

2.ორგანიზაციების შექმნა,რომლებიც მოიცავს ფსიქოლოგიურ,იურიდიულ და სოციალური დახმარების სერვისებს.ეს ორგანიზაციები მსხვერპლისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

3.ეფექტური სამართლებრივი რეგულაციების დაწესება,რომლებიც მიმართული იქნება მოძალადის უმკაცრესი ზომით დასჯისკენ და სამართლის აღსრულებისკენ.

4.ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კვლევების ჩატარება,რათა შეფასდეს პრობლემის მასშტაბები.

5.მედიის როლის ზრდა ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით,რომლის მიზანია ძალადობის პრევენცია. (ევროპის საბჭო, 2014).

ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად არსებობს კიდევ ერთი მექანიზმი,კერძოდ, ქალთა მიმართ ძალადობის საერთაშორისო დღე (International Day for the Elimination of Violence Against Women),რომელიც აღინიშნება 25 ნოემბერს.ამ დღის მიზანია ძალადობის მსხვერპლი ქალების დახმარება , გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა,საზოგადოების ინფორმირებულობა ძალადობის შესახებ.იქიდან გამომდინარე,რომ დღეს მთელს მსოფლიოში ძალადობა დიდი გამოწვევაა,ამ დღის აღნიშვნა ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯია ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. (United Nations, n.d.)

თვისებრივი კვლევის ანალიზი

თვისებრივი კვლევის ფარგლებში,როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე შეირჩა 4 ექსპერტი,რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის მიმართ,თავიანთი პროფესიიდან გამომდინარე არიან კომპეტენტურნი. თავდაპირველად, წარვუდგინე და გავაცანი თავი და ავუხსენი თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი შეხედულებები და შეფასებები კვლევის მიზნისთვის ,შემდეგ დავპირდი,რომ მათი თითოეული პასუხი იქნებოდა კონფიდენციალური და გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ კვლევის ანალიზისთვის.მას შემდეგ რაც,ექსპერტებისგან მივიღე თანხმობა,რომ კვლევაში

მიიღებდნენ მონაწილეობას,თითოეულ მათგანთან ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუ.მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყე თვისებრივი კვლევის ანალიზი.

თავადაპირველად,ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე,თუ როგორია ქალთა მიმართ ძალადობის ტენდენცია ბოლო 5 წლის განმავლობაში.ოთხივე ექსპერტმა ერთხმად აღნიშნა,რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები მკვეთრად გაიზარდა.ამას ადასტურებს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც,რომლის მიხედვით 2017-2021 წლებში ოჯახში ძალადობის შემთხვევების რაოდენობა 27%-ით გაიზარდა,4235-დან 5384-მდე მიაღწია. (ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2022).

ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს იმ ძირითად მიზეზებს ,რის გამოც ქალი ხდება ძალადობის მსხვერპლი.ისინი მიიჩნევენ,რომ გენდერული უთანასწორობა,პატრიარქალური გამყარებული ღირებულებები (აქ იგულისხმება ტრადიციული გენდერული როლი,კერძოდ მამაკაცის დომინირება და ქალის დაქვემდებარება),ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ნაკლებობა,ამას ემატება სოციალური სტიგმა და იზოლაცია,სექსუალური ძალადობა და შევიწროვება,სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების ზრდას.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო ექსპერტების პასუხი კითხვაზე: ,,როგორ ფიქრობთ,საქართველოს კანონმდებლობაში ,არის თუ არა ხარვეზები ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით?“ოთხივე ექსპერტმა აღნიშნა,რომ მიუხედავად იმისა ,რომ საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით,მაინც არის ხარვეზები .საქართველოს კანონმდებლობაში ერთ-ერთი მთავარი ხარვეზი არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სისტემატიური დაცვის არარსებობა,კიდევ ერთი ხარვეზი რაც შეინიშნება არის,ის რომ შემაკავებელი ორდერების აღსრულება ხშირად ძალიან სუსტია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან,აგრეთვე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ისიც , რომ სამართალდამცავები ხშირად არასაკმარისად არიან მომზადებულები/დატრენინგებულები ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან გამკლავებისთვის.ეს განსაკუთრებით პრობლემურია სოფლად,სადაც პოლიციამ

შესაძლოა კვლავ განიხილოს ოჯახური ძალადობა ,როგორც კერძო ოჯახის საკითხი და არა სისხლის სამართლის დანაშაული. (ევროპის საბჭო, 2014)

საინტერესო იყო ექსპერტების პასუხი კითხვებზე:,,თქვენი აზრით,რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს ძალადობის ფაქტების შესამცირებლად ?საინტერესოა თქვენი აზრი იმის შესახებ თუ რა რეფორმები უნდა დაინერგოს იმისთვის,რომ ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა თავი იგრძნონ დაცულად და უსაფრთხოდ?"ექსპერტებმა ამ კითხვებზე უპასუხეს შემდეგნაირად:,, ძალადობის შემცირება მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას,რომელიც მოიცავს საკანონმდებლო რეფორმას,ინფორმირებულობის კამპანიებს,გაუმჯობესებულ სოციალურ სერვისებს".ექსპერტები რეკომენდაციას უწევენ ისეთ მიზანმიმართული ინტერვენციების განხორციელებას,როგორიცაა სპეციალიზირებული ტრენინგი სამართალდამცავი და სასამართლო პერსონალისთვის,სოციალური მხარდაჭერის ქსელების გაფართოება და მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ მომსახურებაში უფრო დიდი ინვესტიცია.მათი აზრით,საჯარო განათლების კამპანიები ფოკუსირებული უნდა იყოს გენდერული როლებისა და ძალადობის მიმართ დამოკიდებულების შეცვლაზე, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ტრადიციული ნორმები უფრო ღრმად არის გამყარებული.

ამდენად,რეფორმები ფოკუსირებული უნდა იყოს სამართლებრივი დაცვის გაძლიერებაზე და დამხმარე სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, ეს კი მოიცავს შემაკავებელი ორდერების აღსრულების უზრუნველყოფას, თავშესაფრების ხელმისაწვდომობის გაფართოებას და ყოვლისმომცველ ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას.

რაოდენობრივი კვლევის ანალიზი

იქიდან გამომდინარე,რომ ქალთა მიმართ ძალადობა საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის არის სენსიტიური ,არაერთგვაროვანი და მრავალწახნაგოვანი თემა ,რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ონლაინ გამოკითხვის გუგლ ფორმის

მეშვეობით.რაოდენობრივი კვლევის კითხვარი შეიცავდა როგორც დახურულ,ასევე ღია კითხვებს.იქიდან გამომდინარე,რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღო საზოგადოების მცირე ნაწილმა,კვლევის შედეგმა მომცა ზოგადი სურათი საკვლევ საკითხთან დაკავშირებით,თუმცა მაინც შევიქმენი წარმოდგენა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის შესახებ.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში,გამოიკითხა 50 რესპოდენტი, აქედან მდედრობითი(77,1%),მამრობითი(22,9%) სქესის წარმომადგენლი.კვლევის საკითხიდან გამომდინარე,სასურველი იყო ორივე სქესის წარმომადგენლების გამოკითხვა,რადგან ეს მომცემდა საშუალებას მემსჯელა სქესთა შორის განსხვავებაზეც.



გამოკითხულთა ასაკობრივი კატეგორია გადანაწილდა შემდეგნაირად:18-24 წლის კატეგორიაში გამოიკითხა(93,8%),25-34 წლის ჩათვლით კატეგორიაში(4,2%),45+ წლის ასაკობრივ ჯგუფში მოხვდა(2,1%).აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ ჩემს მიერ ჩატარებულ კვლევაში, ძირითადად, სტუდენტები და კურსდამთავრებულები იღებდნენ მონაწილეობას.

2. ასაკი
48 responses



გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს მიღებული(77,1%),(20,8%)-ს საშუალო განათლება აქვს მიღებული,ხოლო (2,1%)-ს პროფესიული განათლება აქვს მიღებული.

3. განათლების დონე
48 responses



საინტერესო იყო საზოგადოების პასუხი კითხვაზე თუ რამდენად ინფორმირებულები იყვნენ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხთან დაკავშირებით და ხვდებოდნენ თუ არა

ძალადობის ფაქტებს მათ გარშემო.საზოგადოების (89,6%)-მა აღნიშნა რომ ძალადობის ფაქტები ძალიან ხშირია საქართველოში,(10,4%) კი თვლის რომ ძალადობის ფაქტები არც თუ ისე ხშირია მათ გარშემო.

აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტები ყოველწლიურად მატულობს.ქალთა მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.ამას ადასტურებს საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის უახლესი ეროვნული კვლევა,სადაც ნათლად ჩანს,რომ ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის მსხვერპლთა ასაკი 18-დან 60 წლამდე შუალედში მერყეობს,თუმცა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 30-დან 40 წლამდე კატეგორიაში ფიქსირდება. მონაცემებით აგრეთვე დგინდება რომ მოძალადეები,ძირითადად,მეუღლეები ან ყოფილი მეუღლეები არიან. (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2024).



კვლევის მიზნისთვის მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების პასუხი კითხვაზე:,,რის გამო ხდება ქალი ძალადობის მსხვერპლი?”.საზოგადოების უმეტესი ნაწილი (37,5%) ძალადობის მთავარ მიზეზად ტრადიციულ გენდერულ ნორმებს ასახელებს,(29,2%)

სოციალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს მიიჩნევს მთავარ მიზეზად,საზოგადოების (22,9%) კი თვლის რომ ძალადობის გამომწვევი მიზეზი ქალსა და მამაკაცს შორის არსებული გენდერული დისბალანსი შეიძლება იყოს.

აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ გამოკითხულთა უმრავლესობას გააზრებული აქვს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი და ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ხშირია ძალადობის ფაქტები.ეს ყველაფერი კი იმის დამსახურებაა,რომ ისინი მუდმივად არიან ინფორმირებულები მსგავსი თემების შესახებ,სხვადასხვა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით,შესაბამისად არ უჭირთ ამ პრობლემის გააზრება და არსის გაგება.



კითხვაზე:,,რას მოიმოქმედებდით ძალადობის ფაქტს რომ შესწრებოდით თქვენს გარშემო?”გამოკითხულთა უმრავლესობამ ამ კითხვას სიღრმისეულად შეხედა და პასუხი გასცა,რომ ასეთ ფაქტს თუ შეესწრებოდნენ აუცილებლად დაეხმარებოდნენ მსხვერპლს. ,,აუცილებლად ჩავერეოდი და მივმართავდი 112-ს.”, ,, რთულია თქმა ,როცა ძალადობის ფაქტს უყურებ ალბათ იმ მომენტში ბევრი ფიქრობს რომ მისი საქმე არაა და

არ უნდა სიტუაცია გაამწვავოს, მაგრამ მე აუცილებლად გამოვიძახებდი პოლიციას.”, ,, ვეცდებოდი მსხვერპლის დაცვას და სიტუაციის განმუხტვას”.

უნდა აიღინიშნოს ის ფაქტი,რომ საზოგადოების დამოკიდებულება ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის მიმართ ბოლო წლების განმავლობაში შეიცვალა,რაც გულისხმობს იმას,რომ თუ კი საზოგადოების უმეტესი ნაწილი,ფიქრობდა,რომ ქალთა მიმართ ძალადობა ,,ოჯახის საქმედ” აღიქმება,ახლა მათ მიაჩნიათ,რომ ამ პრობლემის მოგვარება საზოგადოების თითოეული წევრის ვალდებულებაა.სწორედ ამ საკითხს ეხმიანება გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევა:,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღქმა თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში“,სადაც ნათლად ჩანს,რომ გამოკითხულთა მხოლოდ 25%-ს მიაჩნია,რომ ქალთა მიმართ ძალადობა,მხოლოდ ოჯახის საქმეა,გამოკითხულთა უმრავლესობა(69%),კი ფიქრობს , რომ ძალადობა დანაშაულია და შესაბამის რეაგირებას საჭიროებს,როგორც საზოგადოების ,ასევე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. (UN WOMEN, 2016 წ).

კვლევის მიზნისთვის აუცილებელი იყო საზოგადოების პასუხი კითხვაზე:,,რამდენად ეფექტურად მუშაობენ სამართლებრივი ორგანოები ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად?” გამოკითხულთა უმრავლესობა (60,9%) თვლის,რომ სამართლებრივი ორგანოები ქალთა მიმართ ძალადობას ნაკლებად აღიქვამენ პრობლემად,გამოკითხულთა,მხოლოდ (8,7%) ფიქრობს,რომ სამართლებრივი ორგანოები მაქსიმალურად ზრუნავენ მსხვერპლის უსაფრთხოებასა და დაცვაზე.

სწორედ,ამ საკითხს ეხება საქართველოს სახალხო დამცველის(ომბუდსმენი) მიერ:,, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისადმი წარდგენილი წერილობითი მოსაზრება”,სადაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი თვლის,რომ ქალთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობა საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება,ამას კი განაპირობებს ის ფაქტი,რომ ჯერ კიდევ არსებობს პრობლემა სამართლებრივი რეგულაციების და ეროვნული სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელების კუთხით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში,გამოვლინდა შემთხვევები,როდესაც სამართალდამცავებმა ყურადრება არ მიაქციეს ოჯახში ძალადობისთვის დამახასიათებელ ისეთ ნიშნებს,როგორიცაა რეგულარობა და უწყვეტობა,რაც გულისხმობს იმას,რომ სამართალდამცავი ორგანოები,იმისდა მიუხედავად,რომ ძალადობის მსხვერპლმა მათ რამდენჯერმე მიმართა დახმარების თხოვნით,სწრაფად და მყისიერად არ რეაგირებენ,აგრეთვე ხშირია შემთხვევები,როდესაც ქალზე სისტემატიური ძალადობის გამო ,ქალი ხდება ფემიციდის მსხვერპლი,თუმცა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ხშირად ვერ ხდება საქმის კვალიფიცირება,როგორც თვითმკვლელობამდე მიყვანა,რადგან მათ არ აქვთ ინფორმაცია გარდაცვალებამდე ძალადობის ფაქტების შესახებ.აქედან გამომდინარე,შეგვიძლია ვთქვათ,რომ სამართლებრივი ორგანოების მუშაობის კუთხით არის ხარვეზები,თუმცა მათი აღმოფხვრა შესაძლებელია ერთიანი ძალისხმევით. (საქართველოს სახალხო დამცველი).

14. როგორ ფიქრობთ,რამდენად ეფექტურად მუშაობენ სამართლებრივი ორგანოები ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად ?
46 responses



საინტერესო იყო საზოგადოების აზრის გაგება იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოგვარდეს ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა და რა არის მათი აზრით ამ

პრობლემის გადაჭრის გზა.გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის,რომ ეს პრობლემა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით შეიძლება მოგვარდეს , აგრეთვე კანონის გამკაცრებით , გენდერული დისბალანსის გამოსწორებით.ზოგი ფიქრობს,რომ ადამიანები მოძალადეებად არ იბადებიან ,შემდგომ ყალიბდებიან,ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახსა და გარემოს, რადგან მშობლები თამაშობენ დიდ როლს ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში.



აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების პასუხი კითხვაზე:,,როგორ ფიქრობთ,რა რესურსები აქვს საქართველოს ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის პრევენციისთვის?''.გამოკითხულთა უმრავლესობა მთავარ რესურსად სამართლებრივ ორგანოებს მიიჩნევს,აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებს , რომლებიც ძირითადად ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის კუთხით მუშაობენ.ამ მხრივ აღსანიშნავია გაეროს ქალთა ორგანიზაცია,რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს მთავრობასა და პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით შეიქმნა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ექვსი თავშესაფარი,შვიდი კრიზისული ცენტრი და ეროვნული ცხელი ხაზი(116 006),რომლებიც აბონენტებს

არამხოლოდ ქართულ,არამედ ცხრა სხვადასხვა ენაზე,მათ შორის უმცირესობების ენებზე ესაუბრება.აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შექმნა,შემაკავებელი ორდერების გაცემაზე პროცედურების გადახედვა და ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმების შემოღება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებში,ეს კი გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა.

და ბოლოს,აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი,რომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის ძალისხმევით, საქართველოში ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის პროგრამებს, 2010 წლიდან აფინანსებს შვედეთის მთავრობა,ხოლო 2016 წლიდან ევროკავშირის დელეგაცია. (UN WOMEN)



იმისათვის,რომ რაოდენობრივი კვლევის საბოლოო ანალიზი გამეკეთებინა , რესპოდენტებს დავუსვი შემდეგი კითხვა:,,ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას:

,,საზოგადოებას შეუძლია ქალთა მიმართ ძალადობას წერტილი დაუსვას,იმ შემთხვევაში თუ ამ საკითხს ჰოლისტურად შეხედავს ".ამ მოსაზრებას გამოკითხულთა უმრავლესობა (52,1%)იზიარებს.აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ ჰოლისტური მიდგომა გულისხმობს ინდივიდუალურ,საზოგადოებრივ და სისტემურ დონეზე ძალისხმევის გაერთიანებას.მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის მოგვარება და თანასწორობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.



დასკვნა

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ჩატარებული კვლევები ,ხშირად ხაზს უსვამენ პრობლემის გლობალურ მასშტაბებს და იმას თუ რამდენად ახდენს ზეგავლენას ძალადობის ფაქტები ინდივიდებსა და საზოგადოებაზე.

კვლევის შედეგად დადასტურდა,რომ ქალთა მიმართ ძალადობა ფართოდ გავრცელებული პრობლემაა,რომელიც მოიცავს ძალადობის ისეთ ფორმებს,რომლებიც ყველაზე მეტად არის გავრცელებული,ესენია:ფიზიკური,სექსუალური და

ეკონომიკური ძალადობა.აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ ქალთა უმეტესი ნაწილი ძალადობას განიცდის სექსუალური პარტნიორის ან ყოფილი პარტნიორის მხრიდან.

კვლევამ აგრეთვე გამოავლინა,ის ფაქტი,რომ ძალადობა ზემოქმედებს ადამიანის მენტალურ ჯანმრთელობაზეც,კერძოდ,ძალადობის შედეგად ხშირია ფიზიკური ტრავმები, ქრონიკული დაავადებების განვითარების ალბათობა,ფსიქოლოგიური პრობლემები(დეპრესია,შფოთვა),ამ ყველაფერს კი მივყავართ ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურეს ფორმასთან, ფემიციდთან,რაც ქალებისა და გოგონების მკვლელობას გულისხმობს მამაკაცის მხრიდან,მხოლოდ იმიტომ,რომ,,ისინი ქალები" არიან. (ციფრული უნივერსალური ლექსიკონი, 2008).

ძალადობა უარყოფითად აისახება ქალის წინსვლასა და განვითარებაზეც,კერძოდ ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე. იმის გამო,რომ ქალები არ არიან ეკონომიკურად ძლიერნი,მათ უწევთ მოძალადის გვერდით ცხოვრება და ყოველგვარ ძალადობაზე ,,თვალის დახუჭვა".

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი ასპექტები,რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა მიმართ ძალადობას:

1. ტრადიციები და კულტურული ნორმები
2. გენდერული სტერეოტიპები
3. სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემები

კვლევის შედეგად შევასრულე ამოცანა,რომლის მიზანი იმ საშუალებების მოძიება და შემდგომ გამოკვლევა იყო,რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემას მოაგვარებდა.კვლევამ თვალსაჩინო გახადა ის,ძირითადი მექანიზმები რომლითაც ამ პრობლემის პრევენციაა შესაძლებელი,კერძოდ:

1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება
2. მასობრივი პრევენციული პროგრამების შექმნა
3. საზოგადოების,მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთიანი ჩართულობა და ძალისხმევა.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე,ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის გამოსაკვლევად და გასააზრებლად გამოვიყენე,როგორც რაოდენობრივი,ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდი. რაოდენობრივი კვლევის საშუალებით შევძელი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი,რაც დამეხმარა პრობლემის მასშტაბის გაგებასა და ტენდენციების შეფასებაში.რაც შეეხება თვისებრივ კვლევას,ჩვენ ვიცით,რომ თვისებრივი კვლევის საშუალებით შესაძლებელია მიზეზებისა და შედეგების სიღრმისეული გაგება,რამაც საშუალება მომცა სიღრმისეულად შემესწავლა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი.

და ბოლოს,კვლევის შედეგებმა ცხადყო,რომ ქალთა უფლებების დასაცავად და ძალადობის შესამცირებლად აუცილებელი წინაპირობაა მრავალმხრივი და ინტერდისციპლინარული მიდგომა.

გამოყენებული ლიტერატურა

Civili ენციკლოპედიური ლექსიკონი. (2008). თბილისი. მოპოვებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში.-დან

medica mondiale. (n.d.). *violence against women causes and consequences*. Retrieved from https://medicamondiale.org

UN WOMEN. (თ. გ.). *ქალთა და გოგოების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის პროგრამა.*

UN WOMEN. (2016 წ წლის ოთხშაბათი 24 თებერვალი). *საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ საქართველოში - ტენდენციები და მიდგომები.*

UN WOMEN. (2023). მოპოვებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში: https://eca.unwomen.org-დან

UN WOMEN. (თ. გ.). *ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის სახეები*. მოპოვებული https://georgia.unwomen.org-დან

United Nations. (n.d.). *international Day for the Elimination of violence against Women*. Retrieved from https://www.un.org

World Health organization. (2024). *violence against women*. Retrieved from https://www.who.int

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. (2021 წ). *ქალების მიმართ ძალადობის დასრულება: გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ აქტივიზმის 16 დღე* . Retrieved from https://georgia.un.org

ევროპის საბჭო. (2014 წლის სექტემბერი). *ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია: სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლი.* მოპოვებული https://rm.coe.int-დან

საქართველოს სახალხო დამცველი. (თ. გ.). მოპოვებული https://ombudsman.ge-დან

საქართველოს სახალხო დამცველი. (2018). *ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში.* მოპოვებული https://ombudsman.ge-დან

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2024 წლის იანვარი). *ქალთა მკვლელობის ბოლო შემთხვევები შემაშფოთებელია და სახელმწიფოსგან პრევენციული მუშაობის რადიკალურ გაძლიერებას საჭიროებს.*

ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში. (2022). მოპოვებული https://georgia.unwomen.org-დან

ციფრული უნივერსალური ლექსიკონი. (2008). თბილისი.